2014 წელი, 13-19 ნოემბერი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

# ახალი განათლება

№34 (668) გამოდის 1998 წლიდან www.axaliganatleba.ge

## მასწავლებელთა ახალი სახელფასო პოლიტიკა



გვერდი 3

## მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული საპილოტე სამედიცინო პროგრამა



გვერდი 4

## პედაგოგთა დასახმარებლად

## ОСОБЕННОСТИ РАБОТЫ С ТЕКСТОМ В ПРОЦЕССЕ ОБУЧЕНИЯ РКИ

გვერდი 6-7

## საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

იბეჭდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით

გვერდი 5

*კონკურსი უფროსკლასელთათვის*

# „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებისა და გაზეთ „ახალი განათლების“ მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს თემაზე „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.

კონკურსის მიზანია გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული, დღემდე შემონახული ტრადიციები, გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი შესწავლისათვის, ჩართოს ახალი თაობა მივიწყებული ტრადიციების მოძიებასა და ფიქსაციაში.

**კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:**

**პირველი ტური**

ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო, აგრეთვე ხელოვნების, შრომის ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა შემოთავაზებული გეგმის მიხედვით (იხ. **საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა**), თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (თემისათვის, სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი ტრადიცია, რომელიც უკავშირდება გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების მოპოვების წესებს და ბუნების სათუთი გამოყენების ჩვეულებებს.

ასეთი შეიძლება იყოს:

**მიწათსარგებლობა და ტერიტორიების დაგეგმვა-გამოყენება:** ტრადიციული ნაკრძალების (მაგ. ხატის ტყე) შერჩევა-გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო, მათ შორის სამიწათმოქმედო და სათიბ-საძოვარი მიწების შერჩევა, ტიპოლოგიური დანაწილება და გამოყენება, მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, რიტუალები, ჩვეულებები, ზეპირი გადმოცემები, ინსტრუმენტები.

**წიაღისეულის მოპოვება:** (მათ შორის მინერალები და სამკურნალო წყლები, ქვა, სხვა წიაღისეული) მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული წესები, ტექნოლოგიები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები, რიტუალები, ზეპირი გადმოცემები.

**ტყის რესურსების გამოყენება:** ხის ჭრა და გამოტანა, ტყის პროდუქტის შეგროვება.

**წყლის რესურსების, მათ შორის სასმელი წყლის მოპოვება-გამოყენება:** მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, ზეპირი გადმოცემები, რიტუალები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები.

**მონადირეობა/მეთევზეობა:** მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, რიტუალები, ჩვეულებები, ზეპირი გადმოცემები, ინსტრუმენტები.

**სამედიცინო რესურსების მოპოვება-გამოყენება:** მცენარეული, მინერალური და სხვა წამლების, მალამოების ბუნებრივი ინგრედიენტების შეგროვება-დამზადებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული წესები, ტექნოლოგიები, რიტუალები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები, ზეპირი გადმოცემები.

**ბუნების მოვლენებთან** (ციური მნათობები, ამინდი: გვალვა, სეტყვა, წვიმა, თოვლი, ზვავი, ქარიშხალი და ა.შ., მზის და მთვარის დაბნელება) დაკავშირებული ადათ-წესები, ზეპირი გადმოცემები, ორნამენტები, ატრიბუტები და რიტუალები.

**სხვა რამ, რაც უკავშირდება ეკოლოგიასა და ბუნების დაცვას, ბუნებრივი რესურსების მოპოვება/გამოყენებას.**

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com ნამუშევრებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. **გადმოგზავნის ვადაა 2015 წლის 1 თებერვალი.**

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

**მეორე ტური**

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების ხელმძღვანელობით, მათ მიერ შერჩეულ ნიმუშზე შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს. შედგენილი მასალები განიხილება კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების მიერ, მათი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენის მიზნით.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელითა და წოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

**საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:**

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი)*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი)*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი)
7. ნიმუშის მოკლე აღწერა

*მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:*

- რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*
- *ტრადიციული და ამჟამინდელი (თუ განსახვავებულია) სახელწოდება;*
- ზოგადი აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ მზადდება/გამოიყენება/სრულდება;*
- გამოყენების/შესრულების ტექნოლოგია – *ნედლეული მასალა, მისი შერჩევა, მოპოვება, დამუშავება, ტრანსპორტირება, ნიმუშის მოპოვებისა და გამოყენების ტექნოლოგიის აღწერა, დამზადების ინსტრუმენტები, სხვა საჭირო ატრიბუტები და გარემოებები (წელიწადის დრო, ამინდი, ა.შ);*
- *ორნამენტი;*
- *შემსრულებლები (ხის მჭრელი, წიაღისეულის მომპოვებელი, მქარგავი, ექიმბაში და ა.შ), მათი წეს-ჩვეულებები და რიტუალები;*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის პრაქტიცირებისათვის;*
- რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ ან სამეურნეო, რელიგიურ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. *დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალურობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისთვის.*

სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 400- 500 სიტყვას.

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), დამატებით, ასევე შესაძლებელია ჩანახატის, ჩანახაზის, შაბლონის, სქემის, ესკიზის და სხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენა.

*გვეკონტაქტეთ:* **სამუშაო დღეებში**
**(32)298-39-24 – 13სთ-დან 15სთ-მდე**
**ან 599 08 40 03;**
**aramaterialuri@yahoo.com**

**მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი**
**იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**

*მასწავლებლის ბიბლიოთეკა*

ასოციაცია „ზეკარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, უღრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში. ასოციაცია „ზეკარის“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის.




3 ლარი

## მასწავლებლის სამუშაო რვეული

**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.




5.50 ლარი

## მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.




6 ლარი

## დამრიგებლის პორტფოლიო

**დამრიგებლის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.




## ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი




## მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

**საინფორმაციო გზამკვლევი** აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი




## კათედრის გამგის პორტფოლიო

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

**შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:**
**599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია**

ინფორმაცია

# მასწავლებელთა ახალი სახელფასო პოლიტიკა

ლალი ჯელაძე

მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება ეტაპობრივად, 2015-2017 წლების განმავლობაში დაიგეგმა. ამ თემაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** და მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** საქართველოს საჯარო სკოლების 300-მდე პედაგოგს ვრცელი ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრაზე მოწვეული პედაგოგები, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, ახალ სახელფასო პოლიტიკას გაეცნენ.

2015-2016 აკადემიურ წელს სკოლის პედაგოგის ხელფასის ზრდა განხორციელდება ორჯერ. 2015 წლის ზრდა გათვალისწინებულია „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტში“, ხოლო 2016-2017 წლებში ხელფასის ზრდა განხორციელდება მასწავლებლის პროფესიაში შესვლისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის მიხედვით.

პირველადი ზრდა განხორციელდება 2015 წლის სექტემბრიდან. საბაზო ხელფასი გაიზრდება 17%-ით.

სერტიფიცირებული მასწავლებლის ანაზღაურება, რომელიც მეორე კარიერულ საფეხურზე მოისაზრება, გაიზრდება საშუალოდ 31-34%-ით.

საშუალო ანაზღაურება, მესამე და მეოთხე კარიერულ საფეხურზე, შესაბამისად, იქნება 760 და 860 ლარი.

2015-2016 აკადემიური წლის ხელფასის ზრდის მეორე ეტაპი განხორციელდება 2016 წლის აპრილიდან. საბაზო ხელფასი ამჟამინდელ ხელფასთან მიმართებაში 34%-ით გაიზრდება.

მასწავლებლის ანაზღაურება, რომელიც მეორე კარიერულ საფეხურზე მოისაზრება, ამჟამინდელ ხელფასთან შედარებით, სრული განაკვეთის შემთხვევაში, გაიზრდება საშუალოდ 47%-ით.

საშუალო ანაზღაურება, მესამე და მეოთხე კარიერულ საფეხურზე, შესაბამისად, გახდება 875 და 1085 ლარი.

2017 წლის იანვრიდან განხორციელდება მასწავლებლის ხელფასის ზრდის მესამე ეტაპი.

მასწავლებლის ანაზღაურება, რომელიც მეორე კარიერული საფეხურზე მოისაზრება, ამჟამინდელ ხელფასთან შედარებით, სრულ განაკვეთის შემთხვევაში, გაიზრდება საშუალოდ 88%-ით.

საშუალო ანაზღაურება, მესამე და მეოთხე კარიერულ საფეხურზე, შესაბამისად, გახდება 1050 და 1250 ლარი.

მასწავლებლის საშუალო ხელფასი მიუახლოვდება ქვეყანაში არსებულ საშუალო ანაზღაურების მაჩვენებელს 2017 წლისათვის, როდესაც მასწავლებელთა ანაზღაურება, ამჟამინდელ საშუალო ანაზღაურებასთან შედარებით, გაიზრდება და მიაღწევს საშუალოდ 800-1000 ლარს.

**თამარ სანიკიძე**: *„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ სასაუბროდ შევიკრიბეთ, მოგვეცა საშუალება უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის დარეგულირებაზე. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში მივიღეთ კონკრეტული გეგმა, რომელიც გულისხმობს 2015-17 წლებში მასწავლებლის სახელფასო ზრდის განხორციელებას როგორც საბაზო, ისე კატეგორიების – კარიერული საფეხურების ფარგლებში.*

*2015 წლის სექტემბერში განხორციელდება ხელფასის ზრდის პირველი ეტაპი, შემდეგ – 2016 წლის აპრილში, რაც შეეხება 2017 წელს – იანვარში. სახელფასო ზრდა საბაზო ხელფასის საწყის ეტაპზე 17%-ით მოხდება, ხოლო შემდეგ – 33%-ით. რაც შეეხება კარიერული საფეხურების მიხედვით ხელფასების ზრდას, ამ შემთხვევაში 47%-იანი ზრდა იქნება. 2017 წელს კი, საბოლოო ნიშნულით, საშუალო ხელფასი მიაღწევს 800-1000 ლარს. ხშირ შემთხვევაში, იქნება მეტი, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ მასწავლებლის ხელფასი დაანგარიშდება სხვადასხვა კოეფიციენტების მეშვეობით, ამიტომ საბაზო ხელფასის ზრდაც კი მეტი ფიქსირდება, როდესაც ეს გადაგვყავს საშუალო მაჩვენებელში. ვფიქრობ, გეგმა რეალურია, მიღწევადი და გულისხმობს როგორც მასწავლებლის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე, კონკრეტული შედეგების მიღწევას, ანუ შედეგზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და დიდია მზაობა სახელმწიფოს მხრიდან. არაერთი პროცედურა გავიარეთ და მოლაპარაკებები კვლავაც გრძელდება. დღევანდელი შეხვედრა არის მხოლოდ საწყისი და მასწავლებლებთან კომუნიკაცია გაგრძელდება როგორც თბილისის, ისე რეგიონების მასშტაბით. ეს არის გეგმა – სქემის ფარგლებში განსახორციელებელი ეტაპი – ამიტომაც აუცილებელია, მასწავლებლებს მაქსიმალურად სწორად მივაწოდოთ ინფორმაცია.*

*დღეისთვის რის შეთავაზებასაც ვფიქრობთ პედაგოგებისთვის, მართლაც ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმია, თუმცა მიზანი ამ ნიშნულის კიდევ უფრო გაუმჯობესებაა.“*



ახალ სახელფასო პოლიტიკას მასწავლებლები დადებითად აფასებენ და იმედს გამოთქვამენ, რომ თავს გაართმევენ შეფასების ახალი სქემით დასახულ ამოცანებს.

**მანანა მიქიაშვილი**, 123-ე საჯარო სკოლის პედაგოგი: *„დღეს პედაგოგები, ძირითადად, სახელფასო პოლიტიკასთან დაკავშირებით შეგვკრიბეს. რა თქმა უნდა, ამის შესახებ ინფორმაცია გვაქვს, მაგრამ საინტერესოა, როცა ასეთ სიახლეს პირველი პირებისგან ვისმენთ. ბუნებრივია, სქემაში ჩართვა ნებისმიერი პედაგოგისთვის აუცილებელია და კარგია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელფასების ზრდა საფეხურების მიხედვით განისაზღვრება. მივესალმები ამ ცვლილებებს. იმედი მაქვს, ხელფასი ეტაპობრივად მართლაც გაიზრდება და 2017 წლისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხასაც მიაღწევს.“*

**ნანა ცხვედიანი**, 108-ე საჯარო სკოლის პედაგოგი: *„ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი დამაჯერებლად ჟღერს და მისაღებია. ვნახოთ, როგორ შევძლებთ განხორციელებას, ვფიქრობ, საკმაო დრო და შრომა დაგვჭირდება. ჯერჯერობით, მხოლოდ უნარების გამოცდა მაქვს ჩაბარებული და, რასაკვირველია, ჩავერთვები ახალ სქემაში, არ დავაკლებ შრომას და მცდელობას, თავი გავართვა ახალი სქემით შემოთავაზებულ კარიერულ ზრდას. რაც შეეხება პრაქტიკაში ჩვენს შემოწმებას, მისაღებია, რატომაც არა – უნდა შეფასდეს, თუ როგორი პედაგოგი ვარ გაკვეთილზე. ჯერ დასაწყისია და ვსნახოთ, როგორ განვახორციელებთ. დღევანდელი შეხვედრა კი საკმაოდ ინფორმატიული იყო.“*

**ხათუნა კორძაძე**, ვანის რაიონის მუქედის საჯარო სკოლის პედაგოგი: *„რასაც ახალი სქემა პედაგოგისგან მოითხოვს, ასე თუ ისე ყველაფერს ვაკეთებ. პრაქტიკაში მასწავლებელი აუცილებლად ისევე უნდა შეფასდეს, როგორც აქამდე ფასდებოდა თეორიაში. პედაგოგებს შორის ძალიან ბევრია ისეთი, ვინც პროტესტს გამოთქვამდა, რომ გაცილებით უკეთესი მასწავლებელია პრაქტიკაში, ვიდრე თეორიულ გამოცდაში აჩვენა. ამდენად, ახალი სქემა ყველა მასწავლებელს მისცემს საშუალებას თავი წარმოაჩინოს როგორც პედაგოგმა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. ახალი სახელფასო პოლიტიკა კი მართლაც კარგია. დაველოდოთ მის განხორციელებას.“*

**ზაირა ივანელაშვილი-გოცირიძე**, საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის პედაგოგი: *„მინისტრთან მართლაც ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა იყო. საუბარი, ძირითადად, ახალ სქემასა და მასში ჩართული პედაგოგების საქმიანობას დაეთმო. გვამცნეს იმის შესახებ, რომ 2015 წლის სექტემბრიდან მასწავლებლის ხელფასის მნიშვნელოვანი მატება იწყება. დღევანდელი შეხვედრიდან ჩემი მთავარი დასკვნა ასეთია – მასწავლებლის შრომა არ დაიკარგება. პედაგოგმა მაქსიმუმი უნდა გააკეთოს, რომ მისი შრომა დაფასდეს. ახალი შეფასების სქემა არც ერთ მასწავლებელს არ მისცემს იმის საშუალებას, რომ გარკვეულ დონეზე, ერთ ეტაპზე გაჩერდეს. სქემა კი, თავისთავად, უკვე არის სტიმული, რომ მასწავლებელმა გამუდმებით იმუშაოს, გაიუმჯობესოს ცოდნის დონე და მუშაობის ხარისხი აიმაღლოს. ეს ყველაფერი კი აისახება იმ უმთავრესზე, რასაც სკოლა ემსახურება – ხარისხიანი სწავლა და შედეგზე გასვლა.“*

**ლია გიგაურმა** შეკრებილებს მიულოცა, მიღწევა – მასწავლებლის საქმიანობა მის შეფასებაზე დაფუძნებით იქნება დაფასებული და ეს ყველაფერი ანაზღაურებაზეც აისახება.

## ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა გრძელდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **გიორგი შარვაშიძე** ემორის უნივერსიტეტის პროფესორ **ნათანიელ გოზანსკის** შეხვდა. პროფესორი გოზანსკი 20-ზე მეტი ამერიკული უნივერსიტეტის სააკრედიტაციო კომისიის ექსპერტი, ამერიკის 10-მდე წამყვანი უნივერსიტეტის მიწვეული პედაგოგი და ამერიკის იურისტთა ასოციაციის უმაღლესი იურიდიული განათლების კომიტეტის მოქმედი წევრია.

პროფესორ გოზანსკის საქართველოში ვიზიტის მიზანია, შესთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დახმარება და თანამშრომლობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეხვედრა გაგრძელებაა იმ მრავალწლიანი საქმიანი ურთიერთობის, რომელიც უკვე კარგად ჩამოყალიბდა ემორის უნივერსიტეტსა და საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებს შორის. უნივერსიტეტი ითვალისწინებს ქართული მხარის გრძელვადიან ინტერესებს და უზრუნველყოფს შესაბამისად ადაპტირებულ პროგრამებზე საქართველოს მთავრობის საგრანტო ან სხვა პროგრამებში მონაწილე სტუდენტების სამართლის სკოლაში სწავლებას.

აღსანიშნავია ნათანიელ გოზანსკის გამოცდილება პოსტსაბჭოური უმაღლესი იურიდიული სასწავლო დაწესებულებების რეფორმირების საკითხებში. მან კარგად იცის ის თავისებურებები, რაც ახასიათებს რეფორმირების პროცესში მყოფ საუნივერსიტეტო სამართლის სკოლებს. მისი საქმიანობის ფოკუსი ემორის უნივერსიტეტში პირდაპირ კავშირშია ახალი კავშირებისა და ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის გამოცდილების ფართო გაზიარებასთან.

## განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამოწვევები და გაუმჯობესების გზები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია თემაზე: „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამოწვევები და გაუმჯობესების გზები“. კონფერენცია მინისტრის მოადგილემ, **გიორგი შარვაშიძემ** გახსნა.

ევროსაბჭოს ექსპერტებმა – **ლიჯია დეკამ** და **აქიმ ჰოფბახმა** – მიმოიხილეს საქართველოში არსებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორმა **ელენე ჯიბლაძემ** საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ცვლილებებზე ისაუბრა. კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები და განათლების სპეციალისტები, რომლებმაც ევროსაბჭოს ექსპერტებთან ერთად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დახვეწის გზებზე იმსჯელეს. ხარისხის გაუმჯობესება განათლებისა და მეცნიერების გრძელვადიანი პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კი, ზრუნავს ამ მექანიზმების დახვეწაზე, რომ ქართული საგანმანათლებლო სისტემა და უმაღლესი განათლების ხარისხი იყოს თავსებადი ევროპულთან.

საჭიროა ქვეყანაში არსებობდეს გამართული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეყრდნობა ადგილობრივ საჭიროებებს და ითვალისწინებს საერთაშორისო ტენდენციებს. ამ მიმართულებით, სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად. ამჟამად, ევროსაბჭოს ექსპერტების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მიმდინარეობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების გადახედვა და პროცესის დახვეწა.

*„ჩვენი ამოცანაა, გავზარდოთ ნდობა უმაღლესი განათლების მიმართ როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. უმაღლესი განათლება უნდა იყოს მიმზიდველი როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისთვის და ხელს უწყობდეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას“* – განაცხადა ელენე ჯიბლაძემ.

ინფორმაცია

# მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული საპილოტე სამედიცინო პროგრამა



ანა ფირცხალაიშვილი

ახალი სასწავლო წლიდან განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები ერთობლივ პროექტს ახორციელებენ, ესაა საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტების ფუნქციონირების აღდგენა. შერჩეული 100 საპილოტე სკოლიდან რამდენიმეს მონახულებამ დაგვარწმუნა, რა დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ორივე უწყება ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ესაა ექიმის კაბინეტების პროგრამით გათვალისწინებული პარამეტრების დაცვით მოწყობა; მეორე – მისი სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვა – ესეც ქვეპროგრამის დანართით ზუსტად არის გაწერილი. რაც შეეხება თავად ექიმს, მას მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო ფუნქცია დაეკისრა, ჩამონათვალი ასეთია: მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფასება და დარღვევების დროული გამოვლენა; ქრონიკული დაავადებების პრევენცია, აცრების კალენდრის შესწავლა და იმუნიზაციის პროგრამებში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა, გეგმიური და ეპიდსაწინააღმდეგო სანიტარიულ-ჰიგიენური და პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველობა, მოსწავლეთა, სკოლის პერსონალის და მშობელთა სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლება... საპილოტე პროგრამა 31 დეკემბერს დასრულდება და ორივე უწყება ახალ კონკურსს გამოაცხადებს სკოლებში ექიმების მოსაზიდად. პარალელურად, საპილოტე სკოლებში გაწეული მუშაობაც შეფასდება იმ ხარვეზების გამოსასწორებლად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც საპილოტე პერიოდი გამოავლენს და, რომლის გამოსწორებაც აუცილებელი იქნება სკოლების სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

პროგრამის დაწყებიდან თვენახევრის შემდეგ დედაქალაქის რამდენიმე სკოლას ვესტუმრეთ. პირველი შთაბეჭდილება 155-ე საჯარო სკოლის ექიმმა, **ეთერ ჯინჭველაშვილმა** მოახდინა. მაშინ ის ჯერ კიდევ აგროვებდა ცნობებს მოსწავლეების ჯანმრთელობის შესახებ, თუმცა, პარალელურად მაინც თავად სინჯავდა თითოეულს. IV-V კლასელების შესახებ უკვე ჰქონდა სრული ინფორმაცია ჟურნალში შეტანილი და თითქმის ასრულებდა პირველკლასელთა გამოკვლევას. თითოეული სახელისა და გვარის გასწვრივ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაა მითითებული. ყურადღება მიიქცია წითლად გახაზულმა სიტყვებმა – ჭარბი წონა და არასაკმარისი წონა. ექიმი ამბობს, რომ განსაკუთრებული სამუშაო, პირველ რიგში მშობლებთან, სწორედ ამ მიმართულებით ექნება – *„მინდა დაეტყოს სკოლას, რომ ექიმი ჰყავს. უნდა დავარწმუნო ჩვენი მოსწავლეების მშობლები ჯანსაღი კვების აუცილებლობაში. ამ მიმართულებით მათ აუცილებლად უნდა აკონტროლონ თავიანთი შვილები, თორემ 7-8 წლის ასაკში სიმსუქნე ბევრი ავადობის სათავე შეიძლება გახდეს. არანაკლები საფრთხის შემცველია წონის ნაკლებობა, რის მიზეზადაც, ძირითადად, სოციალური ფონი მიიჩნევა, მაგრამ მიზეზის დადგენა თითოეულ შემთხვევაში აუცილებელია“.* ქალბატონი ეთერი ამბობს, რომ კაბინეტი სრულადაა აღჭურვილი მოთხოვნის შესაბამისად, შეძენილია მედიკამენტებიც, თუმცა მიაჩნია, რომ ჩამონათვალში ჰიგიენის საშუალებებიც უნდა შედიოდეს და ყურის ტკივილისა და ჰიპერტენზიული წამლებიც.

89-ე საჯარო სკოლის ექიმმა **ნანული ტეტუნაშვილმა**, მის მიერვე შემუშავებული კითხვარით, კლასის დამრიგებლების დახმარებით, შეაგროვა მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ მონაცემები. ცალკე აქვს ამოწერილი განსაკუთრებით საყურადღებო შემთხვევები. *„პარალელურად, მე თვითონაც ვსინჯავ მოსწავლეებს, მარტო კითხვარის იმედად ვერ ვიქნები, მშობლების კოორდინატებსაც ვინიშნავ. ბევრ შემთხვევაში მათთან გასაუბრებაც საჭიროა. ოთხი ინკლუზიური ბავშვია სკოლაში და მათთანაც დამჭირდება ურთიერთობა. ამჟამად ყველაფერი გვაქვს, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული, ფარმადეპოსთან გააფორმა სკოლამ ხელშეკრულება და წამლების მხრივ შეფერხება არ გვექნება, მაგრამ ყველაზე მეტად ტუალეტებში ჰიგიენის საკითხი მაღელვებს, იმასაც კი ვფიქრობ, იქნებ ვიდეოთვალის დაყენებამ უშველოს-მეთქი. ამის გაკონტროლება ძალიან რთულია. სხვა მხრივ ჩემთვის სირთულე არაფერია. მუცლისა და თავის ტკივილი, დავარდნა, წნევა, გაციება – ამ ჩივილებით ყოველდღიურად, მეტი თუ არა, 10 ბავშვი მაინც შემოდის, ხშირად მასწავლებლებიც ემატებიან. მათ დასახმარებლად ყველაფერია ამ კაბინეტში“.*

ჰიგიენის საკითხზე **მარინა შარაგიამაც** (165-ე სკოლა) ისაუბრა. ჩვენ ექიმის კაბინეტში არ შევხვედრივართ ერთმანეთს. იმ დროისთვის იქ სარემონტო სამუშაოები მხოლოდ სრულდებოდა. ახლა სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია და დამრიგებლების დახმარებით ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციები მასაც თითქმის სრულად აქვს. *„ყოველდღიურად 10 ბავშვს მაინც მივიღებ, რომ მხოლოდ ცნობებს არ დავეყრდნო და ჩემი მონაცემებიც მქონდეს, მედიკამენტები გვაქვს, ცალკე მექნება იმ მოსწავლეების მონაცემები, რომელთაც განსაკუთრებით სჭირდებათ ექიმის მეთვალყურეობა, თუ ასეთები აღმოჩნდებიან“.*

42-ე სკოლის ექიმი, **შორენა კახიანიც** ახალი სასწავლო წლიდან შეუდგა კაბინეტის მოწესრიგებას. პირველი რიგის სამუშაო მანაც დაასრულა – თითქმის სრულად აქვს ინფორმაცია მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ. კაბინეტი აღჭურვილია ქვეპროგრამით გათვალისწინებული ინვენტარითა და საჭირო მედიკამენტებით.

მართალია, რამდენიმე სკოლის მაგალითზე შთაბეჭდილებას ვერ შეიქმნი, მაგრამ, თუ ნანახის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტი წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა არც ერთ ზემოთ დასახელებული სკოლის სამედიცინო კაბინეტში, ჯერჯერობით, არ არის კომპიუტერი. მისი შეძენისთვის სკოლებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ, რადგან მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია დროულად განთავსდეს კომპიუტერში და ადვილად იყოს შესაძლებელი, თითოეული მოსწავლის საჭიროებისადმი თვალყურის მიდევნება, აუცილებლობის შემთხვევაში კი ოპერატიული ზომების მიღება.

# ქართული ენის საუნჯე

„ნეტავ ვინ იყავ პირველი მთქმელი, შენ, ბედნიერი და უსახელო“ – კითხულობს პოეტი და მართლაც ვინ იყო, ვინ თქვა პირველმა ქართული ლექსი, ვინ შეთხზა ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება, გამოცანა, ანდაზა!.. – საუკუნეების სიღრმეშია ჩაკარგული მათი სახელები. სამაგიეროდ, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ყოველთვის უფრთხილდებოდა და დღესაც უფრთხილდება ქართული სულის სიმდიდრეს – ქართულ ლექსს, ქართულ სიმღერას, ქართულ ცეკვას.

44 წლის წინ, 1970 წლის აპრილში, სასახლე მასპინძლობდა „ქართული ენის საუნჯის“ პირველ რესპუბლიკურ შეკრება-სემინარს. ფოლკლორის სექციაზე ათი ნაშრომი იყო წარმოდგენილი (თუმცა ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ფოლკლორის კაბინეტის არქივში 1949 წლით დათარიღებული ნაშრომი ინახება, რომელიც ტყიბულის რაიონის სოფელ ჯვარისიდანაა გამოგზავნილი). დღეს კი 200-ზე მეტი მოსწავლე გვესტუმრა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

9 ნოემბერი...

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ფოლკლორისტთა XVII შეკრებას მასპინძლობს.

ხალხმრავლობაა

თეთრი დარბაზი...

ირგვლივ ნაირფრად მოჩითული გობელენებია მიმოფანტული, ერთ კუთხეში თბილისის სამხატვრო სტუდია „პალიტრის“ მოსწავლეთა ფერწერული ტილოებია გამოფენილი. მაგიდებზე თავს იწონებენ ნინოწმინდელთა, დედოფლისწყაროს მოსწავლეთა, სამტრედიის, თერჯოლის, საჩხერის, გორის სოფელ ხელქცეულის, ხონის, ხარაგაულის სოფელ ვაშლევის, თბილისის მე-4 საჯარო სკოლის, ცაგერის სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ შექმნილი თიხის, ხის, ქვის ნაკეთობანი, მოქსოვილი თუ მოქარგული ნამუშევრები, რომელიც შეაფასეს სასახლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კაბინეტის გამგემ **ტატა ბაქრაძემ** და თბილისის სამხატვრო სტუდია „პალიტრის“ ხელმძღვანელმა **ნატა კიკაბიძემ**.

***

სექციურ სხდომებზე (სექციის ხელმძღვანელები – **ცისანა ხაზარაძე, ნინელი ჩიხლაძე, რუსუდან ყიფიანი**) მოსწავლეებმა წარმოადგინეს მათ მიერ მოძიებული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები: ზღაპრები, თქმულებები, ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, შელოცვები. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამოირჩეოდნენ მე-2 საჯარო სკოლის, ცაგერის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის, დედოფლისწყაროს, ქობულეთის სოფელ ხუცუბნის, ახმეტის, ნინოწმინდის სოფელ განძის სომეხი ეროვნების მოსწავლეთა მიერ მოძიებული ზეპირსიტყვიერი ტექსტები.

***

სარკეებიანი დარბაზი...

სასახლის ხალხურ საკრავთა ანსამბლმა, ნინოწმინდის სოფელ განძის, ახალქალაქის სოფელ ვაჩიანის საჯარო სკოლის სომეხი ეროვნების მოსწავლეებმა, თბილისის მე-4 საჯარო სკოლის ფოლკლორულმა გუნდმა „გუთანმა“, გორის სოფელ ყელქცეულის საჯარო სკოლის, თიანეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ჯგუფმა „კოკროჭინამ“ ქართული ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით აახმიანეს დარბაზი.

მოწვეულმა სტუმრებმა, პროფესორებმა – **რუსუდან ჩოლოყაშვილმა, ელენე გოგიაშვილმა, გიორგი ცინცაძემ, მარი ტურაშვილმა** – გულთბილი სიტყვებით შეაფასეს მოსწავლეთა შემოქმედება და აღნიშნეს, რომ სწორედ ფოლკლორია ის ფენომენი, რომელიც ყველაზე სრულად გამოხატავს ქართული ეროვნული სულის თვითმყოფადობას და რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს ქართული სიტყვის უკვდავებაში.





ცისანა ხაზარაძე

*ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ფოლკლორის კაბინეტის ხელმძღვანელი*

გამოსაშვები გამოცდები

# საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

## ფრანგული ენა

**Trouvez la bonne réponse**

1. Cet été, nous allons à …………….montagne.
A. le B. la C. les D. l'

2. La tarte à l'oignon est une spécialité ……………
A. alsacien B. alsaciens C. alsacienne D. alsaciennes

3. Tu veux…………… quelque chose?
A. boire B. bu C. bois D. buvons

4. Allez à Lagodekhi, passez vos vacances ……………la nature.
A. sur B. sous C. dans D. devant

5. Connaissez-vous …………… hôtel ?
A. ce B. ces C. cette D. cet

6. Mes parents vont rentrer à Tbilissi la semaine ……………
A. passée B. prochaine C. précédente D. dernière

7. Mon copain est très ……………, il m'offre toujours des cadeaux.
A. menteur B. méchant C. généreux D. mauvais

8. Il est important de boire beaucoup d'eau quand il fait très ……………
A. chaud B. mauvais C. jour D. noir

9. Ils …………… d'une voiture rouge.
A. montent B. partent C. viennent D. descendent

10. Quels sont vos films préférés ?
A. J'ai joué dans un film. B. J'adore les films d'aventure. C. J'aime tourner des films. D. Je regarde les films tous les soirs.

11. Qu'est-ce qu'il fait ?
A. Il fait du ski. B. Il fait du vent C. Il fait du soleil. D. Il fait froid.

**Où se passe l'action? Trouvez la bonne réponse**

12.
- Tu vas où Pierre?
- A la maison!
- Pourquoi?
- Parce'que j'ai mal à la jambe et le professeur me laisse partir.

A. au cinéma B. au café C. à la maison D. dans une école

13.
- Je voudrais voir monsieur Michel Martin.
- Pardon, Michel comment ?
- Martin, M – A – R – T – I – N
- Michel Martin, chambre 25.
- Merci.

A. au supermarché B. dans une école maternelle C. à la police D. à l'hôtel

**Lisez le texte et trouvez la bonne réponse**

14. Aujourd'hui en Géorgie les études secondaires durent 12 ans comme dans beaucoup de pays européens. Cependant certains élèves peuvent continuer leurs études dans des écoles spécialisées mais après avoir terminé la neuvième année d'études secondaires. Auparavant, les études secondaires duraient 10-11 ans et tout le monde était satisfait.

D'après ce texte il est possible d'étudier dans une école spécialisée après des études de
A. 9 ans B. 12 ans C. 11 ans D. 10 ans

15. Ces derniers temps il y a la mode de langues étrangères, surtout de l'anglais. La plupart des parents veulent que leurs enfants apprennent l'anglais avant les autres langues étrangères. Par la suite dans les écoles géorgiennes on apprend surtout l'anglais, le russe, l'allemand, le français et rarement l'italien et l'espagnol. Si cette tendance continue il y a le risque que les langues étrangères, sauf l'anglais, disparaissent de nos écoles.

D'après ce texte en Géorgie la langue étrangère la plus demandée est
A. le français B. l'allemand C. l'anglais D. l'italien

**პასუხები: 1.B 2.C 3.A 4.C 5.D 6.B 7.C 8.A 9.D 10.B 11.A 12.D 13.D 14.A 15.C**

## გერმანული ენა

**Lesen Sie die Sätze und markieren Sie die passenden Antworten.**

1. Die Großeltern schenken ................Enkel ein Fahrrad zum Geburtstag.
A. der B. dem C. den D. des

2. Gestern haben wir in der Disco bis 2 Uhr ..............
A. getanzt B. tanzen C. getanzen D. tanzt

3. Das ist der neue Schüler. Ich kenne ............... noch nicht.
A. ihm B. ihn C. ihr D. er

4. Opa geht in den Park und setzt .............. auf die Bank.
A. mich B. euch C. sich D. uns

5. Das Kind bittet die Mutter .............. Verzeihung.
A. an B. um C. für D. über

6. Horst sitzt im Bus. An der nächsten Haltestelle muss er ..............
A. einsteigen B. besteigen C. aussteigen D. steigen

7. Wo ist mein Shampoo? Ich möchte mir die Haare ...............
A. schneiden B. kämmen C. bürsten D. waschen

8. Karin ist 10 Jahre .............
A. alt B. groß C. jung D. klein

9. Nino will sich ein neues Kleid nähen lassen. Sie geht zum ...............
A. Maler B. Friseur C. Schneider D. Ingenieur

**Lesen Sie die Fragen und markieren Sie die passenden Antworten.**

10. Hast du die Prüfung schon abgelegt?
A. Nein, noch nicht. B. Seit gestern. C. Ja, morgen. D. Während der Ferien.

11. Was trinkst du lieber, Tee oder Kaffee?
A. Meine Mutter trinkt keinen Kaffee.
B. Ich mag lieber Tee.
C. Ich koche jetzt einen Kaffee.
D. Mein Vater trinkt nur Tee.

**Lesen Sie die Texte und markieren Sie die passenden Antworten.**

12. Robert ist zwölf Jahre alt. An Schultagen weckt ihn seine Mutter um 7 Uhr. Er steht gleich auf und geht ins Badezimmer, duscht und putzt seine Zähne. Danach zieht er sich an. Gemeinsam mit seiner Familie frühstückt Robert. Meistens isst er Brot mit Honig oder Käse und trinkt dazu einen Früchtetee. Dann packt er seine Tasche. Um acht Uhr fährt ihn sein Vater in die Schule.

Was wird im Text beschrieben?
A. Wie Roberts Mutter zur Arbeit fährt. C. Wo Roberts Vater arbeitet.
B. Wie Robert in der Schule lernt. D. Was Robert morgens macht.

13. Anna steht jeden Morgen um halb acht auf. Bis zur Schule muss sie drei Stationen mit dem Bus fahren und noch ein kleines Stück zu Fuß gehen. Der Unterricht beginnt um neun Uhr und endet fast jeden Tag um ein Uhr. Zweimal in der Woche hat Anna auch am Nachmittag Unterricht. Dann isst sie zu Mittag nicht zu Hause sondern mit ihren Freunden in der Schule.

Was steht im Text?
A. Der Unterricht beginnt um acht Uhr.
B. Zur Schule geht Anna zu Fuß.
C. Zweimal in der Woche isst Anna in der Schule zu Mittag.
D. Anna fährt in die Schule mit ihren Freunden zusammen.

**Lesen Sie die Dialoge und markieren Sie die passenden Antworten.**

14. Wo findet das Gespräch statt?
- Warum tanzt du nicht mehr?
- Ich bin müde, ich habe schon viel getanzt.
- Willst du etwas trinken?
- Ja, eine Cola.
- Dann hole ich uns zwei Flaschen.

A. in der Disco B. im Supermarkt C. in der Oper D. im Konzert

15. Wo findet das Gespräch statt?
- Guten Tag, Kinder.
- Guten Tag, Frau Schneider.
- Sind alle da?
- Nein, Gerda fehlt, sie ist krank.
- Schade. Macht eure Hefte auf. Wir schreiben heute eine Kontrollarbeit.
A. im Krankenhaus B. im Schulhof C. im Schreibwarengeschäft D. im Klassenzimmer

**პასუხები: 1. B 2. A 3. B 4. C 5. B 6. C 7. D 8. A 9. C 10. A 11. B 12. D 13. C 14. A 15. D**

რუსული ენა



მეგი როსტიაშვილი-წიკლაური

# ОСОБЕННОСТИ РАБОТЫ С ТЕКСТОМ В ПРОЦЕССЕ ОБУЧЕНИЯ РКИ

Текст является основной учебно-методической единицей обучения. Для наиболее полного и адекватного его использования в процессе обучения преподавателю необходимо чётко представить себе, а затем использовать в работе содержательные и структурные особенности текста. Текст - объединённая смысловой связью последовательность высказываний, основными свойствами которой являются самостоятельность, целенаправленность, связность и цельность. Жанрами текстов являются: текст-побуждение, текст-ретроспекция, оценочный текст, контактоустанавливающий текст. Указанные жанры текстов встречаются в разных функциональных стилях речи. В разговорной речи текстами-побуждениями являются просьба, совет, рекомендация, пожелание. В деловой речи - приказ, постановление, решение, распоряжение, предписание. В публицистической речи - призыв, совет, рекомендация. Текстом-ретроспекцией может быть рассказ о каком-либо случае, происшествии в рамках бытового диалога, научная или публицистическая статья, газетный или официальный отчет. Оценочными текстами являются аналитические статьи, обзоры, аннотации, рецензии. Контактоустанавливающие тексты - это приглашения, поздравления, рекламные сообщения, личные резюме, информационные письма, письма - предложения о сотрудничестве.

При работе с любым текстом (печатным, звуковым, видео) можно выделить три основных этапа работы: дотекстовый, текстовый и послетекстовый этапы. Очевидно, что послетекстовый этап будет присутствовать лишь в том случае, когда текст используется не как средство формирования умений читать, а для развития продуктивных умений в устной или письменной речи, а проще говоря, умений говорить и писать на иностранном языке. Рассмотрим цели и задачи каждого из этапов, а также те упражнения и задания, которые могут предлагаться для решения этих задач.

| N | Этап | Цели | Упражнения и задания |
|---|---|---|---|
| 1. | Дотекстовый этап (этап Антиципации) | ➢ Определить\сформировать речевую задачу для первого прочтения.<br>➢ Создать необходимый уровень мотивации у учащихся.<br>➢ По возможности сократить уровень языковых и речевых трудностей. | ➢ **Работа с заголовком.**<br>*По заголовку можно попросить учащихся определить: тематику текста, перечень поднимаемых в нём проблем, ключевые слова и выражения и так далее.*<br>➢ **Использование ассоциаций, связанных с именем автора.**<br>*К какому жанру можно предположительно отнести этот текст? Кто, по - вашему, будет главным героем (его профессия, национальность и так далее.) Где и в какое время может происходить действие?*<br>➢ **Сформулировать предположения о тематике текста на основе имеющихся иллюстраций.**<br>➢ **Ознакомиться с новой лексикой и определить тематику, проблематику текста на основе языковой догадки.**<br>➢ **Задача учащихся – определить основную идею текста.**<br>*Просмотреть текст, первый абзац и определить основную идею текста.*<br>*Прочесть вопросы, утверждения по тексту и определить его тематику и проблематику.*<br>*Попытаться ответить на предложенные вопросы до чтения текста.* |
| 2. | Текстовый этап | ➢ Проконтролировать сформированность различных языковых навыков и речевых умений.<br>➢ Продолжить формирование соответствующих навыков и умений. | ➢ **Найти, выбрать, прочесть, соединить, вставить.**<br>*Ответить на предложенные вопросы. Подтвердить правильность или ложность утверждений. Подобрать подходящий заголовок к каждому из обзацев.*<br>*Подобрать подходящее по смыслу предложение, пропущенное в тексте.*<br>*Найти предложения со следующими словами, грамматическими явлениями, идиоматическими выражениями и так далее.*<br>*Найти глаголы, прилагательные, эпитеты, другие тропы, используемые автором при описании кого – либо или чего- либо.*<br>*Найти описание внешности, места события, отношения кого- либо к чему- либо и так далее.*<br>➢ **Догадаться**<br>*Догадаться о значении слова или слов по контексту.*<br>*Какой из предложенных переводов, какая дефиниция слова наиболее точно отражает его значение в данном контексте.*<br>*Как будут развиваться события во второй главе, следующей части текста.* |
| 3 | Послетекстовый этап | ➢ Использовать ситуацию текста в качестве языковой, речевой, содержательной опоры для развития умений в устной и письменной речи. | ➢ **Опровергнуть утверждения или согласиться с ними.**<br>➢ **Доказать, что…**<br>➢ **Охарактеризовать…**<br>➢ **Сказать, какое из следующих высказываний наиболее точно передаёт основную мысль текста. Обосновать свой ответ.**<br>➢ **Сказать, с каким из данных выражений был бы не согласен автор.**<br>➢ **Составить план текста, выделив его основные мысли.**<br>➢ **Рассказать текст от лица главного героя.**<br>➢ **Кратко изложить содержание текста, составить аннотацию к тексту, дать рецензию на текст и так далее.**<br>➢ **Придумать, что могло бы случиться, если бы…. Придумать новый конец текста.**<br>➢ **Придумать новое название.**<br>➢ **Подобрать, отобрать пословицы, которые подходят по смыслу к данной ситуации и наиболее точно передают идею текста.**<br>➢ **Взяв за основу ситуацию текста, написать собственный текст, в другом жанре и так далее.** |

Учебные тексты могут быть разного объёма, от одного слова до нескольких десятков страниц в книге для домашнего чтения. И те, и другие важны и имеют право на существование в учебном процессе. При этом следует соблюдать разумный баланс и обратить внимание на то, что в жизни встречаются разные тексты, учащиеся должны уметь правильно читать, извлекать из них необходимую информацию, критически её переосмысливать. Одно слово, написанное на входной двери, короткая записка, расписание, реклама и объявления - это тоже тексты, которые передают нам определённую информацию. Слишком длинные тексты утомляют учащихся, а иногда заведомо формируют мысль о невозможности их усвоения. Ощущение успеха и определённых достижений важно не только для детей. Только на коротких текстах невозможно формировать многие виды чтения, необходимые для реальной деятельности, в том числе и учебной (подготовки к докладу, сообщению по теме и т. д.). Короткий текст может быть очень информативным, а длинный текст нет. Объём текста может определяться его форматом. Графики, таблицы, схемы – это тоже тексты, причём очень информативные. Иногда проще прочесть длинный текст, чем разобраться в схеме, но «проще» не всегда означает лучше.

Аутентичными текстами считаются те тексты, которые созданы для реального общения. Чем старше учащиеся и чем выше их уровень коммуникативной компетенции, тем шире спектр аутентичных текстов, возможных для использования в учебных целях. При работе с такими текстами необходимо формировать критическое осмысление прочитанного. Беседа с использованием прочитанных текстов, и в аспекте развития логико-коммуникативных умений, является средством закрепления речевого материала и обогащения речи. В первом случае речь идёт о том, чтобы с помощью чтения текстов, содержащих познавательную информацию, побудить учащихся к её обсуждению, то есть сделать речь учащихся коммуникативно-мотивированной. Основное требование к текстам состоит в том, чтобы они были интересны (по характеру информации) для доступного возраста, содержали несложный языковой материал, доступный для использования в устной речи и обогащающий её. Во втором случае чтение текстов можно рассматривать как способ запоминания языкового материала путём многократной встречи с ним при рецепции письменной речи и переноса его в неизменном или трансформированном виде в устную речь. Для примера предлагаем ознакомиться с моделью урока.

**План урока:**

| | |
|---|---|
| Число | |
| Предмет | Русский язык |
| Учитель | Ростиашвили-Циклаури Меги Робинзоновна |
| Тема урока | Рассказ Е.Ауэрбаха «Верность». |
| Количество учеников | 16 |
| Класс/уровень | XI(ს-V) |
| Цель урока | • Выработать у учащихся навык использования необходимых стратегий чтения для понимания содержания текста.<br>• Выработать навык излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в письменной форме. |
| Связь со Стандартом | უცხ.ს.V.6. მოსწავლეს შეუძლია ადაპტირებული მოთხრობის/ ნოველის წაკითხვა და გაგება.<br>უცხ.ს.V.8. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების, ნასწავლი ენობრივი ფორმებისა და მათი ფუნქციის ამოცნობა შინაარსიან კონტექსტში.<br>უცხ.ს.V.10. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას საკითხავი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად.<br>უცხ.ს.V.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს ესე/წერილი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისებს *(მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოხმაურებას ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვა).* |
| Задачи урока | • Выработать у учащихся навык определения и группировки различных фраз и слов по данной теме.<br>• Выработать у учащихся навык выделять основную, информацию из текста.<br>• Выработать у учащихся навык вероятностного прогнозирования.<br>• Выработать у учащихся навык нахождения сходств и различий в тексте.<br>• Выработать у учащихся навык изложения собственных мыслей, впечатлений и отношения к данному вопросу в письменной форме. |
| Результаты урока | • Учащиеся могут использовать необходимые стратегии чтения для понимания содержания текста.<br>• Учащиеся могут излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в письменной форме. |
| Описание активностей/последовательность урока | I Организационный момент.<br>II Основная часть урока.<br>1) Ученики слушают и смотрят видио на песню Р.Гамзатова в исполнении М.Бернеса «Журавли»<br>• Какие эмоции вызвала у вас эта песня?<br>Обсуждение. (5 мин.)<br>2) Класс делится на группы. Каждый ученик получает задания. Ученики выполняют лексические упражнения индивидуально. Обсуждают в группе. Читают ответы. (3 мин.)<br>1. Соедините слова (синонимы / антонимы). Впишите ответы в таблицу. |

| | |
|---|---|
| 1. близко | А) рядом с |
| 2. маленький | Б) вдруг |
| 3. недалеко от | В) рядом |
| 4. неслышно | Г) настигать |
| 5. неожиданно | Д) большой |
| 6. вернулся | Е) вспомнить |
| 7. догонять | Ж) в спокойствии |
| 8. забыть | З) возвратился |
| 9. в тишине | И) бесшумно |

Впишите ответы в таблицу.

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| В | Д | А | И | Б | З | Г | Е | Ж |

## პედაგოგთა დასახმარებლად

2.Соедините фразы. Впишите ответы в таблицу.(3 мин.)

| | |
|---|---|
| 1. чуть слышно | А) отстал от стаи |
| 2.бросали птицам корм | Б) крик, наполненный горечью |
| 3. птицы переночевали | В) в тот же самый день |
| 4. отделился от стаи | Г) год спустя |
| 5. горестный крик | Д) все были уверенны в том, что |
| 6. день в день | Е) еле слышно |
| 7. через год | Ж) чуть свет |
| 8. никто не сомневался | З) птицы остались ночевать |
| 9. ранним утром | И) кормили птиц |

Впишите ответы в таблицу.

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Е | И | З | А | Б | В | Г | Д | Ж |

3) Ученики читают I часть текста и выполняют задание 3.

3. Прочитайте первую часть текста. Заполните таблицу I **(Что вы узнали? Что будет дальше?)** (5 мин.)

| Часть | Что вы узнали | Что будет дальше? | Что не совпало? |
|---|---|---|---|
| I | | | |
| II | | | |
| III | | | |

4) После заполнения первой части таблицы, ведут обсуждение в группах и читают свои ответы. (3 мин.)

5) Ученики читают II часть текста и выполняют задание 4. (5 мин.)

4. Прочитайте вторую часть текста. Заполните таблицу. **I (Что не совпало?) II (Что вы узнали? Что будет дальше?)**

6) После заполнения второй части таблицы ведут обсуждение в группах и читают свои ответы. (3 мин.)

7) Ученики читают III часть текста и выполняют задание 5. (5 мин.)

5. Прочитайте третью часть текста. Заполните таблицу II **(Что не совпало?)** III **(Что вы узнали? Что будет дальше?)** Прочитайте четвёртую часть текста. Заполните таблицу III **(Что не совпало?)**

8) После заполнения третьей части таблицы, ведут обсуждение в группах и читают свои ответы.(3 мин.)

III Заключительная часть урока.

9) Ученикам предлагается написать эссе. (10 мин.)

6. Напишите небольшое эссе. Выберите одно из двух предложенных вариантов.

А) Существует мнение, что любовь и верность синонимы. Что думаете по этому поводу Вы? Дайте аргументированный ответ. (30-50 слов).

Б) Многие считают, что люди перестали любить и сострадать по-настоящему. Что думаете по этому поводу Вы? Дайте аргументированный ответ. (30-50 слов).

10) Из каждой группы желающие читают по одному эссе. (2 мин.)

| | |
|---|---|
| Оценивание учащихся | Индивидуальные схемы оценки. Оценка учителем групповой работы учащихся. Определяющая индивидуальная оценка каждого ученика по схемам после проверки работ учащихся. |
| Ресурсы | Песня, текст, задания, схемы, оценочные схемы, маркеры и листы формата А4. |

Далее следует раздаточный материал для индивидуальной работы.

Ученик________________________________________________Класс ________

1. Соедините слова. (Синонимы/антонимы). Впишите ответы в таблицу.

| | |
|---|---|
| 1. близко | А) рядом с |
| 2. маленький | Б) вдруг |
| 3. недалеко от | В) рядом |
| 4. неслышно | Г) настигать |
| 5. неожиданно | Д) большой |
| 6. вернулся | Е) вспомнить |
| 7. догонять | Ж) в спокойствии |
| 8. забыть | З) возвратился |
| 9. в тишине | И) бесшумно |

Впишите ответы в таблицу.

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |

2. Соедините фразы. Впишите ответы в таблицу.

| | |
|---|---|
| 1. чуть слышно | А) отстал от стаи |
| 2. бросали птицам корм | Б) крик, наполненный горечью |
| 3. птицы переночевали | В) в тот же самый день |
| 4. отделился от стаи | Г) год спустя |
| 5. горестный крик | Д) все были уверенны в том, что |
| 6. день в день | Е) еле слышно |
| 7. через год | Ж) чуть свет |
| 8. никто не сомневался | З) птицы остались ночевать |
| 9. ранним утром | И) кормили птиц |

Впишите ответы в таблицу.

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |

3. Прочитайте первую часть текста. Заполните таблицу I **(Что вы узнали? Что будет дальше?)**

4. Прочитайте вторую часть текста. Заполните таблицу I **(Что не совпало?)** II **(Что вы узнали? Что будет дальше?)**

5. Прочитайте третью часть текста. Заполните таблицу II **(Что не совпало?)** III **(Что вы узнали? Что будет дальше?)**

6. Прочитайте четвёртую часть текста. Заполните таблицу III **(Что не совпало?)**

| часть | Что вы узнали | Что будет дальше? | Что не совпало? |
|---|---|---|---|
| I | ____________ | ____________ | ____________ |
| II | ____________ | ____________ | ____________ |
| III | ____________ | ____________ | ____________ |

7. Напишите небольшое эссе. Выберите одно из двух предложенных вариантов.

А) Существует мнение, что любовь и верность синонимы. Что думаете по этому поводу Вы? Дайте аргументированный ответ. (30-50 слов).

Б) Многие считают, что люди перестали любить и сострадать по-настоящему. Что думаете по этому поводу Вы? Дайте аргументированный ответ.(30-50 слов).

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

| Тип ошибок | Количество ошибок |
|---|---|
| Речевые | |
| Орфографические | |
| Грамматические | |
| Пунктуационные | |

| За содержание: | За грамотность: |
|---|---|
| | |
| Общий балл: | |

**სავარჯიშოების შეფასების სქემა**

| დავალება N | მაქსიმალური ქულა | მიღებული ქულა |
|---|---|---|
| 1 | 9 | |
| 2 | 9 | |
| 3 | 6 | |
| 4 | 6 | |
| 5 | 6 | |
| 6 | 16 | |
| ქულათა ჯამი | 52/5.2=10 | |
| ნედლი ქულა | 10 | |
| ნიშანი | 10 | |

**Текст для групповой работы.**

**Верность**

Несколько лет тому назад через эти места пролетала стая лебедей и села отдыхать на маленькое озеро. Недалеко от озера была деревня. Казалось, что на озере лежит снежная шапка. Лебеди плавали, чистили перья и чуть слышно перекликались, как будто боялись разбудить людей. Когда люди проснулись, они не разрешили детям подходить близко к озеру, чтобы не испугать стаю. И дети издалека бросали птицам корм.

Стая переночевала и ранним утром на следующий день, когда все ещё спали, собралась лететь дальше. И она улетела бы так же неслышно, как прилетела, если бы не выстрел, который неожиданно прозвучал в тишине. Испуганная стая поднялась в воздух, а на берегу озера осталась мёртвая птица.

Вдруг от стаи отделился один из лебедей. Стая улетела, а он вернулся и долго летал над мёртвой подругой.

И люди впервые услышали странный горестный крик, который без слёз нельзя было слушать. Потом лебедь улетел догонять своих.

Учительница сделала из лебедя чучело для школы, а того, кто убил птицу, судили и оштрафовали.

Этот случай могли бы и забыть. Но ровно через год, день в день и час в час, на это озеро прилетел лебедь. Он был один, без стаи, пел ту же горестную песню. И никто не сомневался, что это был прошлогодний лебедь.

Вот уже четвёртую осень он прилетает сюда... Люди привыкли к нему, ждут его. Он помнит выстрел... и всё-таки прилетает.

***СПИСОК ИСПОЛЬЗОВАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ:***

❖ Национальный учебный план (ესგ).

❖ Щукин А.Н. Методика преподавания русского языка как иностранного. Учебное пособие. М.: Высшая школа. 2003г.

❖ Гапочка И.К. «Я читаю по-русски». М.: Русский язык. Медия. 2004 г.

❖ Казановский Н.Г. Дидактика. М.: Просвещение. 1988 г.

❖ Карапчук А.В. Иностранный язык в школе № 6. М. 1998 г.

❖ Кудревич М.А. Учебно-методическое пособие по развитию навыков устной речи. Минск. 1990 г.

**გამოცდილება**

# სამოდელო გაკვეთილი

რამდენიმე ათეული წლის წინ საქართველოს მრავალ სოფელში, მოსწავლეთა სიმცირის გამო, საბაზო სკოლების დაწყებით საფეხურზე შეიქმნა კლასკომპლექტები, სადაც გაერთიანებული იყო ორი ან ზოგ შემთხვევაში, სამი კლასიც კი, რაც დღემდე დიდი პრობლემაა. ამდენად, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ასეთ კლასებში მომუშავე პედაგოგები დიდი სირთულის წინაშე დგანან.

კლასკომპლექტში მუშაობისას პედაგოგმა, კალენდარული გეგმის შედგენისას, უნდა გაითვალისწინოს თემების თანხვედრა ორივე კლასში. გაკვეთილის დაგეგმვისას კი აქტივობები ისე უნდა გადაანაწილოს, რომ ორივე კლასთან მიაღწიოს გაკვეთილით განსაზღვრულ მიზანს და მუშაობისას არც ერთს არ შეუშალოს ხელი. კლასკომპლექტში მომუშავე პედაგოგი, 45 წუთის განმავლობაში, ატარებს ორ გაკვეთილს, რაც, დამეთანხმებით, ადვილი ნამდვილად არ არის. ამას ისიც ემატება, რომ არ არსებობს არანაირი დამხმარე მასალა, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვაში. ამის გამო თითოეული მასწავლებელი იძულებულია, ენდოს მხოლოდ საკუთარ კრეატიულობას; შექმნას რესურსი და დაგეგმოს გაკვეთილი.

თხუთმეტი წელია, რაც ვმუშაობ კლასკომპლექტში. მსურს, ჩემი გამოცდილება გავუზიარო კოლეგებს. ამიტომ გთავაზობთ ერთ ჩვეულებრივ გაკვეთილს ბუნებისმეტყველებაში, II და IV კლასებში.

| გაკვეთილის თემა: | შინაური ცხოველები – ძუძუმწოვრები | ძუძუმწოვრების სასიცოცხლო ციკლი |
|---|---|---|
| სწავლების საფეხური | II კლასი | IV კლასი |
| გაკვეთილის მიზანი: | მოსწავლეებმა უნდა შეძლონ შინაური ცხოველების და მათი ნაშიერების ამოცნობა. მათი მნიშვნელობის გაცნობიერება. ცხოველებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. | მოსწავლეებმა შეძლონ ძუძუმწოვრების სასიცოცხლო ციკლზე დაკვირვების და გაანალიზების უნარის განვითარება. |
| ე.ს.გ.-ით განსაზღვრული შედეგები: | ბუნ.II.1. მოსწავლეს შეუძლია მცენარის და ცხოველის სხეულის ძირითადი ნაწილების აღწერა.<br>II.2.მოსწავლეს შეუძლია განიხილოს ზრდა, როგორც ცოცხალის ზოგადი თვისება.<br>II.3.მოსწავლეს შეუძლია ადვილად დაკვირვებადი მოძრაობის აღწერა. | ბუნ.IV.1. მოსწავლეს შეუძლია ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლის აღწერა. |
| წინასწარი ცოდნა: | შინაური და გარეული ცხოველების სახელწოდებები და მათი ნაშიერები. სიცოცხლის გამოვლინების ხუთი ძირითადი ნიშან-თვისება: სუნთქვა, კვება, გამრავლება, მოძრაობა, ზრდა-განვითარება. | შინაური და გარეული ცხოველების სახელწოდებები და მათი ნაშიერები |
| გაკვეთილის მსვლელობა: | 1. საშინაო დავალების შემოწმება კითხვა-პასუხით (5წთ).<br>რადგან მე-2 კლასში არ არის შესასწავლი ტექსტი, მასწავლებელი წინა გაკვეთილზე შეძენილ ცოდნას ამოწმებს კითხვა-პასუხით.<br>2. ბარათებზე მუშაობა – ინდივიდუალური (5წთ). მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს, რომელშიც უნდა დაასრულონ მოცემული წინადადებები.<br>A ფაზა.<br>3. პროვოცირება ზღაპრით „კომბლე“ (3წთ).<br>მასწავლებელი ორივე კლასს უკითხავს ზღაპარს „კომბლე“<br>4. კითხვა-პასუხი (2წთ).<br>მასწავლებელი ორივე კლასს უსვამს შემდეგ კითხვებს: რომელი ცხოველებია ამ ზღაპარში მოხსენიებული? მათ შორის რომელია შინაური? გარეული? რა ჰქვია მათ ნაშიერებს? რითი იკვებებიან ისინი? და ა. შ.<br>B ფაზა<br>5. მასწავლებლის მინი-ლექცია (3 წთ).<br>მასწავლებელი ორივე კლასს ესაუბრება ძუძუმწოვრებზე და მათ სასიცოცხლო ციკლზე.<br>6. სახელმძღვანელოზე მუშაობა – ინდივიდუალური (8წთ).<br>მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს იმუშაონ სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოზე, კერძოდ, გამოიცნონ რომელი ცხოველია დახასიათებული და შეაერთონ ხაზებით სწორ პასუხთან.<br>7. ბუკზე მუშაობა – ინდივიდუალური (5წთ).<br>მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმუშაონ ბუკში მოცემულ სავარჯიშოზე.<br>C ფაზა<br>8. დიდაქტიკური თამაში „ტყუილი თუ მართალი?“ – ინდივიდუალური (5წთ).<br>მასწავლებელი ამბობს წინადადებებს. თუ აზრი სწორია, მოსწავლეები ამბობენ – „მართალია“. თუ აზრი არასწორია, მოსწავლეები ამბობენ – „ტყუილია“.<br>9. დიდაქტიკური თამაში „იდუმალი ყუთი“ – ინდივიდუალური (5წთ).<br>მასწავლებელი არჩევს ლამაზად შეფუთულ ყუთს, რომელშიც მოთავსებულია სხვადასხვა ცხოველის ფოტო. მოსწავლეები რიგრიგობით გამოდიან. იღებენ რომელიმეს ისე, რომ მოსწავლეებს არ გაუჭირდეთ გამოცნობა.<br>10. გაკვეთილის შეჯამება კითხვა-პასუხით (2 წთ). მასწავლებელი კითხვა-პასუხით კიდევ ერთხელ ამოწმებს, თუ რამდენად კარგად გაიგეს ახსნილი მასალა და გაკვეთილს აჯამებს.<br>11. საშინაო დავალების მიცემა და შეფასება (3წთ). მასწავლებელი საშინაო დავალებად აძლევს მოსწავლეებს დახატონ მათთვის სასურველი შინაური ცხოველი. მოსწავლეებს აფასებს კომენტარებით. | 1. საშინაო წერითი დავალების შემოწმება აქტივობით „რა მასწავლა მეგობარმა?“ – წყვილებში (10წთ).<br>მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დაწყვილდნენ, ერთმანეთს გაუცვალონ დავალებები და გაასწორონ დაშვებული შეცდომები. შეცდომებს ქვემოთ გაუსვან ხაზი, მიუთითონ სწორი ფორმა და ბოლოს ზეპირად გააკეთონ კომენტარები.<br>A ფაზა<br>2. პროვოცირება ზღაპრით „კომბლე“ – ინდივიდუალური (3წთ).<br>მასწავლებელი ორივე კლასს უკითხავს ზღაპარს „კომბლე“<br>3. კითხვა-პასუხი (2წთ).<br>მასწავლებელი ორივე კლასს უსვამს შემდეგ კითხვებს: რომელი ცხოველებია ამ ზღაპარში მოხსენიებული? მათ შორის რომელია შინაური? გარეული? რა ჰქვია მათ ნაშიერებს? რითი იკვებებიან ისინი? და ა.შ.<br>B ფაზა<br>4. მასწავლებლის მინი-ლექცია (3წთ).<br>მასწავლებელი ორივე კლასს ესაუბრება ძუძუმწოვრებზე და მათ სასიცოცხლო ციკლზე.<br>5. ტექსტზე მუშაობა – პაუზებით კითხვა – ინდივიდუალური (5წთ).<br>მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს ტექსტს მონაკვეთებად და წაკითხულს აანალიზებენ.<br>6. ბარათებზე მუშაობა – ინდივიდუალური (7წთ).<br>მოსწავლეები მუშაობენ ბარათებზე, რომელშიც მოცემულია ტექსტი და მათ უნდა ჩასვან გამოტოვებული სიტყვები.<br>C ფაზა<br>7. დიდაქტიკური თამაში „ტყუილი თუ მართალი?“ – ინდივიდუალური (5წთ).<br>მასწავლებელი ამბობს წინადადებებს. თუ აზრი სწორია, მოსწავლეები ამბობენ – „მართალია“. თუ აზრი არასწორია, მოსწავლეები ამბობენ „ტყუილია“.<br>8. დიდაქტიკური თამაში „იდუმალი ყუთი“ – ინდივიდუალური (5წთ).<br>მასწავლებელი არჩევს ლამაზად შეფუთულ ყუთს, რომელშიც მოთავსებულია სხვადასხვა ცხოველის ფოტო. მოსწავლეები რიგრიგობით გამოდიან. იღებენ რომელიმე ცხოველის სურათს, ახასიათებენ მას ისე, რომ მოსწავლეებს არ გაუჭირდეთ გამოცნობა.<br>9. გაკვეთილის შეჯამება კითხვა-პასუხით (3წთ). მასწავლებელი კითხვა-პასუხით კიდევ ერთხელ ამოწმებს, თუ რამდენად კარგად გაიგეს ახსნილი მასალა და გაკვეთილს აჯამებს.<br>10. საშინაო დავალების მიცემა და შეფასება (2წთ). მასწავლებელი საშინაო დავალებად აძლევს: მოსწავლეებმა მოიძიონ ინფორმაცია რომელიმე ძუძუმწოვარი ცხოველის შესახებ. მოსწავლეებს აფასებს კომენტარებით. |
| შეფასება | განმავითარებელი, კომენტარებით. | განმავითარებელი, კომენტარებით. |
| რესურსები: | სახელმძღვანელო. რვეული. საწერ-კალამი. ბუკი. პლაკატი: „შინაური და გარეული ცხოველები და მათი ნაშიერები“. | სახელმძღვანელო. რვეული. საწერ-კალამი. პლაკატი: „შინაური და გარეული ცხოველები და მათი ნაშიერები“. |

**ზაირა რევაზიშვილი**
*სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების სერტიფიცირებული მასწავლებელი*

# მასწავლებლის ვალს ვერავინ ვერასოდეს გადაიხდის

გვიანი შემოდგომის ერთ მზიან დღეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს (ყოფილი ჯაფარიძის) საჯარო სკოლის ამაგდარ პედაგოგებს, ამავე სოფლის საზეიმოდ მორთულ კულტურის სახლში, შეხვედრა მოუწყეს, რომლის ორგანიზატორი გახლდათ კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი **ნონა ჯიბლაშვილი**. მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ნიკოლოზ ჯანიაშვილის** მიმართვა: *„ძალიან მიხარია, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ამაგდარ პედაგოგებს მოვფერებოდით და მადლობა გვეთქვა იმისათვის, რომ მრავალი წლის მანძილზე თავდაუზოგავად შრომობდნენ და მომავალი თაობის აღზრდისათვის იბრძოდნენ. დღევანდელი საღამო იმის დასტურია, რომ ქედს ვიხრით მათ წინაშე და ვცდილობთ დავაფასოთ მათი ღვაწლი. ისინი ემსახურებოდნენ თავის სოფელს, ამიტომ ჩვენგან თანადგომას იმსახურებენ. ბევრი მათგანი ამჟერად აღარ მუშაობს, მაგრამ ამაყნი არიან, რომ მრავალი თაობა აღზარდეს და სხვადასხვა სფეროში წარმატებით მოღვაწეობენ, ამის მაგალითად მსოფლიო ბარიტონის ლადო ათანელის სახელიც საკმარისია, იგი ხომ თქვენი აღზრდილია“...*

ნონა ჯიბლაშვილმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალური სიგელები გადასცა თითოეულს „მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“. ამაგდარ პედაგოგთა სია ასე გამოიყურება: **ეგული ყოჩიაშვილი, ნორა ალადაშვილი, ლამარა თარაშვილი, მაყვალა ბეგიაშვილი, ლიზიკო მეხრიშვილი, ნინო ნატროშვილი, ტასო ჩიბუხაშვილი, მერი ჩუთლაშვილი, ლილი ქადაგიძე, ნუნუ სიმონიძე, მარინა ჩუბინიძე, ნელი ნატროშვილი, ლალი ლუაშვილი, ეთერ გონაშვილი, იზა გონაშვილი, ირა ჯამასპიშვილი, ზინა თეთვაძე, ესმა რობიტაშვილი, ზიზო გოგილაშვილი, დალი ქუსიკაშვილი, ლია მოსულიშვილი, ლილი ელაშვილი, ნათელა ბეგიაშვილი, ლიზიკო ტოკლიკიშვილი, ქეთინო ტოკლიკიშვილი, ცირა ბენაშვილი, ელნარ ყოჩიაშვილი, იზოლდა ნატროშვილი, ფარლიზ ხუციშვილი, ნუნუ გობეჯიშვილი, თამაზ წიკლაური, ნანული წყარუაშვილი.**

*„ღვაწლმოსილ პედაგოგებს ლამაზი საღამო მოვუწყეთ. უბედნიერესი ვარ, რომ ეს დღე ასე ლამაზად ჩატარდა და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამდენი ბედნიერი მასწავლებლის გაბრწყინებული სახე ვნახეთ და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო. მასწავლებლის ვალს ვერავინ ვერასოდეს გადაიხდის, მაგრამ ჩვენ შევძელით ეს ღონისძიება მათთვის მიგვეძღვნა“* – აღნიშნა ნონა ჯიბლაშვილმა.

ღონისძიებაში მონაწილეობდა სოფელ სამრეკლოს ქალთა ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ პროფესიონალი ფოლკლორისტი **გაიოზ ხუციშვილი**. მათ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა – „ქართული ხალხური მელოდიების პოპური“, „სულის ყვავილო“, „კახური ნანა“, „წუთისოფლის სტუმრები ვართ“, „ანანური“, „ქიზიყური სატრფიალო“, „აფხაზური სუიტა“ და სხვ. – დიდი მოწონება დაიმსახურა მსმენელებში.

ამაგდარ პედაგოგებს ანა კალანდაძის ლექსებით მიესალმნენ დაწყებითი კლასის მოსწავლეები – **ნიკა ყოჩიაშვილი** და **ლიკა ტოკლიკიშვილი**. თბილი სიტყვებით მიმართა ასევე სკოლის ყოფილმა კურსდამთავრებულმა, დედოფლისწყაროს პოლიკლინიკის ცნობილმა ექიმმა **დიტო ყოჩიაშვილმა**: *საუკუნეთა სიღრმიდან მოდის ის მადლი, რომელიც ანათებს ერის გონებას, სულსა და სხეულს. მარადიულია ის პროფესია, რომელიც გარგუნათ უფალმა, როგორც გამორჩეულ ადამიანებს. თქვენს მხრებზე, სითბოსა და სიყვარულზე აღიზარდნენ თაობები, თქვენი პროფესია შეუდარებელია ნებისმიერ პროფესიასთან. დიდი რუდუნებით და სიყვარულით აქანდაკებდით ადამიანების სულს.*

დიდი მოწიწებით მიმართა პედაგოგებს გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილემ **ნანა ჭიჭინაძემ**: *„მიუხედავად იმისა, რომ რედაქტორის დავალებით, თბილისის კამერული მუსიკის მე-9 ფესტივალის ფარგლებში გამართულ კონცერტებს ვესწრებოდი, სპეციალურად ჩამოვედი თბილისიდან, რომ ამ ღონისძიებაში მიმეღო მონაწილეობა. თითოეული თქვენგანი ჩემი სულის ნაწილი ხართ, ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ბატონი ეგული ყოჩიაშვილის სკოლის დირექტორობის პერიოდი, მთელ რაიონში ერთ-ერთი წარმატებული სკოლა იყო და მისი ისტორიის შესახებ წიგნიც კი დაწერა, რომლის პრეზენტაციასაც მე ვუძღვებოდი. ეს სოფელი ძალიან მიყვარს, რადგან მამაჩემი დამსახურებული მექანიზატორი, ყოფილი საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენის უცვლელი მონაწილე მიშა ჭიჭინაძე ხვავითა და ბარაქით საქვეყნოდ განთქმული ჯაფარიძის კოლმეურნეობაში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. მამაჩემი და ამ კოლმეურნეობის ლეგენდარული თავმჯდომარე, შრომის გმირი ნიკო ყოჩიაშვილი კახეთის გამოჩენილ ადამიანებზე დაწერილ წიგნში არიან შეტანილი, რომელიც ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ოთარ ნაცარაშვილის რედაქტორობით გამოიცა. მე ვურჩევ ახალგაზრდობას გაეცნონ ამ წიგნს. კიდევ ერთხელ მოგესალმებით და ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ, ძვირფასო მასწავლებლებო“.*

შეხვედრას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და კულტურის ცენტრის საჯარო მოხელეები. საღამოს უძღვებოდა სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის XII კლასის წარჩინებული მოსწავლე, კიკბოქსინგის მრავალგზის პრიზიორი, უმშვენიერესი ახალგაზრდა **თამარ ჩიბუხაშვილი**.

ამაგდარი პედაგოგების სახელით ულრმესი მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს ამავე სკოლის ყოფილმა დირექტორმა ეგული ყოჩიაშვილმა.

შეხვედრა დასრულდა ქალთა ანსამბლ „სამრეკლოს“ მიერ შესრულებული სიმღერით „მრავალჟამიერ“.

**მარიკა პოპიაშვილი**

**ინფორმაცია**

# ამბავი მეფეზე

*„ისე უნდა გახურდე, რომ გადაიწვა, ისე უნდა გაანათო, რომ დაბნელდეს, ისე უნდა იცხოვრო, რომ მოგკლან, ისე უნდა მოკვდე, რომ დაიბადო“.*

ირაკლი ჩარკვიანი



დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ, **გაგა ლომიძის** რედაქტორობით გამოცემული წიგნის „ამბავი მეფეზე“ პრეზენტაცია მოაწყო კერძო სკოლა ბენაურის ლიტერატურულ კლუბში „მერანი“.

პრეზენტაცია გაიმართა მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის, **ვანო ნატროშვილის** პატრონაჟით, სპონსორი გახლდათ დედოფლისწყაროს გასართობი ცენტრის „ლაბირინთი“ ხელმძღვანელი **მარინე ცხვედიაშვილი**.

მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილემ **ნანა ჭიჭინაძემ**, ასოციაციის წევრებმა **თამილა ჯავაშვილმა** (გელა ჩარკვიანის ყოფილი სტუდენტი), **ნინო პოპიაშვილმა, ნაირა გორაშვილმა**; ბენაურის სკოლის უფროსკლასელმა მოსწავლეებმა: **მარი ოზაშვილმა, ლევან ხასაიამ, გიორგი ბენაშვილმა, ნატო ჯინაშვილმა, მაია გომერშმიდმა** საინტერესო მასალა მიაწოდეს მსმენელს ირაკლი ჩარკვიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი იყო ინფორმაცია მის მიერ შექმნილი მუსიკის, პოეზიისა და პროზის შესახებ.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ბენაურის სკოლის დირექტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი **ცაცა ბენაშვილი**, გაზეთ „შირაქის“ ყოფილი კორესპონდენტი **კლარა ოზაშვილი**, პოეტი **ჯუმბერ უთსუთაშვილი**, კულტგანყოფილების მთავარი სპეციალისტი **ლია მაისურაძე** და სხვები. მათ ყურადღება გაამახვილეს ირაკლი ჩარკვიანის წინაპრების, მშობლებისა და ოჯახის შესახებ.

ბატონი გელა ჩარკვიანი ტელეფონით ესაუბრა ღონისძიების მონაწილეებს და მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრებს მისი შვილის შემოქმედებისადმი ასეთი ინტერესის გამოჩენისა და სიყვარულისათვის.

პრეზენტაციას ფონად გასდევდა ირაკლი ჩარკვიანის სულში ჩამწვდომი სიმღერები.

**მარიკა პოპიაშვილი**

# აკაკის საღამო

მესტიის №3 საჯარო სკოლაში, დაწყებითი კლასის პედაგოგმა **ეკა ნაკანმა** ჩაატარა ღონისძიება: „აკაკი წერეთლის პოეზიის საღამო“, რომლის მიზანი იყო მოსწავლეები უფრო ვრცლად გასცნობოდნენ აკაკის შემოქმედებას.

პატარებმა საზეიმოდ მოაწყვეს ოთახი. ღონისძიებაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა აკაკის ლექსები, მოთხრობები და სიმღერები. დადგეს პიესები: „ღამურა“, „ჩიტი და ბავშვები“. მოსწავლეებმა, მასწავლებლის დახმარებით, მოიძიეს და წარმოადგინეს პოეტის ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა.

ღონისძიების დამსწრე მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა ტაშით დააჯილდოვეს პატარა მონაწილეები. სკოლის დირექტორმა, **ნათია გოშთელიანმა** მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მოამზადა პოეზიის საღამო და მასში მონაწილე მოსწავლეებს.

**ეთერ გვარლიანი**
*მესტიის №3 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის კათედრის თავმჯდომარე*





**ჩანახატი**

# ჩემი მეგობარი ძაღლი

ერთ დღეს ჩემმა კლასელმა პატარა ლეკვი ჩამომიყვანა. ის ისეთი ლამაზი, პატარა, საყვარელი და ფუმფულა იყო, რომ მე დანახვისთანავე შემიყვარდა. პატარა ლეკვს მაქსი დავარქვი, მაგრამ სიყვარულით ბომბორას ვეძახდი.

როცა მაქსი პირველად დავინახე, ჩავიხუტე და მაშინვე ვიგრძენი, რომ მასაც მოვეწონე. სულ ერთად ვთამაშობდით, დავრბოდით, ანუ სულ ერთად ვიყავით.

რადგან ბომბორას დედა არ ჰყავდა, მასზე მე ვზრუნავდი. დღეში რამდენჯერმე ბოთლით რძეს ვაჭმევდი, ვაბანავებდი და მის პატარა სახლს ვასუფთავებდი.

ახლა ჩემი ბომბორა ორი წლისაა. ის დიდი, ღონიერი, ჭკვიანი, მოსიყვარულე და ლამაზი ძაღლია.

ერთ დღეს მე და მამაჩემი მეზობელთან წავედით საქმეზე. მეზობელმა რჩევის საკითხავად მამა სახლში შეიყვანა. რა თქმა უნდა, ჩემი ბომბორაც თან მახლდა. მოულოდნელად უცხო ძაღლი გამოვარდა და ღრენით გამოქანდა ჩემკენ. ბომბორა წინ გადამიხტა და უცხო ძაღლს ეძგერა, კინაღამ დაახრჩო. უცნობმა ძაღლმა წკმუტუნით უკან დაიხია და გაიქცა.

სადაც არ უნდა წავიდე, ჩემი ძაღლი თან დამყვება. როცა სკოლაში მივდივარ, მიუხედავად ჩემი მშობლების წინააღმდეგობისა, მაქსი თან მომყვება.

მე ჩემი ბომბორა ძალიან მიყვარს. მე ვიცი რატომ და როდის არის მოწყენილი, როდის შია და როდის არის კარგ ხასიათზე. ჩემი საყვარელი მაქსი, ჩემი ბომბორა არის ჩემი საუკეთესო მეგობარი.



**ლუკა კვირიკაძე**
*ლახამულის საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე*

# საერთაშორისო კონფერენცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** საერთაშორისო კონფერენცია გახსნა თემაზე: „ინგლისური ენა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის გლობალიზებულ მსოფლიოში“. კონფერენცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ATEFL-ის პრეზიდენტის პირადი პატრონაჟითა და ბრიტანული გამომცემლობების – მაკმილანი, პერსონ ლონგ მანი, კემბრიჯის უნივერსიტეტი, კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველო“ – ორგანიზებით გაიმართა.

საერთაშორისო კონფერენციის მიზანი ინგლისური ენის როლის წარმოჩენაა გლობალიზებულ მსოფლიოში ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმებაში. კერძოდ, როგორ აისახება ინგლისური ენის სწავლების დონის ამაღლება ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქვეყანაში ბიზნესის განვითარებაზე. განხილულ იქნა მსოფლიოს გამოცდილება – რა კავშირებია ახალგაზრდა თაობის ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარებას, მათ შემდგომ წარმატებასა და ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას შორის ევროინტეგრაციის პროცესებში.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ საერთაშორისო დონის მომხსენებლები, მათ შორის: მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი **დევიდ გრედოლი**, რომელიც ყველაზე მოთხოვნადი ექსპერტია ინგლისური ენის სწავლების საკითხებში, მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის (IATEFL) პრეზიდენტი **ქეროლ რიდი**, ცნობილი სახელმძღვანელოების ავტორები – **დევიდ სპენსერი** და **ფილიპ კერი**. კონფერენციაში, ასევე, მონაწილეობდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე **პაპუნა ჯანელიძე** და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**.

კონფერენციაზე განხილულ იქნა ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ ადამიანს, ნებისმიერ ქვეყანაში შეძლოს, ენობრივი ბარიერის გარეშე, საკუთარი თავის რეალიზება.



# ქართველთა წარმატება ტიუმენში




ბოლო შაბათ-კვირას ქართველმა ჭაბუკმა ძიუდოისტებმა წარმატებით იჭიდავეს ტიუმენში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 1998-2000 წლებში დაბადებული მოზარდები გამოდიოდნენ. შეგახსენებთ, რომ ეს ე.წ. საფესტივალე ასაკია, ანუ ამ თაობამ უნდა იჭიდაოს გაისად თბილისში, ევროპის ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზე. ამას წინათ მათ ყაზახურ ტემირტაუშიც იასპარეზეს და ასევე ხელხვავრიელი მონაგარი მოიხვეჭეს, ახლა კი იმ გუნდის უმეტესი ნაწილი ტიუმენში ჩაება ასპარეზობაში. შორეულ ციმბირში ჩვენებმა რვავე წონაში მედალი მოიპოვეს, შვიდი წონის ფინალში გვყავდა მონაწილე, აქედან სამში კი სულაც ქართული ფინალი გაიმართა. მედლების ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით ასეთი მდგომარეობაა: სულ მოპოვებულია 13 მედალი, რაშიც ამჯერად გოგონებს წვლილი არ მიუძღვით, ყველა ბიჭების დამსახურებაა. აქედან 5-5 ოქრო-ვერცხლია, 3 კი – ბრინჯაო.

ქართული ფინალები 55, 60 და 66 კილოგრამებში გაიმართა. ყაზახური ტურნირის შემდეგ, 60-ში ამჯერადაც გაიმარჯვა გორელმა **რობინზონ ბეგლარაშვილმა**. მან იქაც ქართულ ფინალში იყოჩაღა, ოღონდ ამჯერად არა თანაქალაქელი **ივანე მახათაძე**, არამედ **ალეკო მამიაური** დაამარცხა. **თემურ ნოზაძემ** (55) ტემირტაუში მოპოვებული ბრინჯაო ამჯერად „ოქროდ" აქცია, როცა ფინალში ახლო წარსულის სახელოვანი ვეტერანის, ევროპის ორგზის ჩემპიონის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **ნესტორ ხერგიანის** შვილი **ირაკლი ხერგიანი** დაჯაბნა. რუსებმა მესამე ქართული ფინალი 66-ში იხილეს, სადაც ყაზახეთში ხელმოცარულმა **ბაგრატ ნინიაშვილმა გუგა გოგიტიძეს** აჯობა. აღსანიშნავია, რომ გოგიტიძე ყაზახეთშიც მეორეზე გავიდა. ჩვენებმა მორიგი ორი ოქრო 81 და 90 კილოგრამებში დაისაკუთრეს, რაც, შესაბამისად, **გიორგი გოგოლაძემ** და **ავთანდილ ტაბატაძემ** გააკეთეს. ფინალში იჭიდავეს, თუმცა დამარცხდნენ და ვერცხლს დასჯერდნენ **საბა გრიგალაშვილი** (50) და **ამირან წიქორიძე** (+90, ეს წინა ტურნირზე მესამე იყო). ბრინჯაოს მედლებს **ლაშა დუდაშვილი** (73), **ონისე სანებლიძე** და **ნიკა სიდამონიძე** (ორივე – 81) დაეუფლნენ.

ტიუმენის ტურნირი საკმაოდ ძლიერი გამოდგა იმის მიუხედავად, რომ უცხოური გუნდები რაოდენობრივად ბევრი არ იყო: ჩვენს გარდა მონღოლეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი და ჩეხეთი გამოდიოდნენ. სამაგიეროდ, ბლომად ჩაებნენ რუსეთის სხვადასხვა რეგიონების ნაკრებები და ჯამში მონაწილეთა მაინც შთამბეჭდავი რაოდენობა მოგროვდა – 400-მდე მონაწილე.

სამწუხაროდ, ამჯერად ტიუმენში უმედლოდ დარჩნენ ჩვენი გოგოები, თუმცა ისინი მხოლოდ ორი მონაწილით გამოდიოდნენ, რადგან დანარჩენებს ვიზები არ მისცეს. მათ შორის – არც ევროპის პრიზიორს ჭაბუკთა შორის **მზია ბებოშვილს** (52). ჩვენი გუნდი ტიუმენში დარჩა და მასპინძლებთან ერთად ერთკვირიან შეკრებას გაივლის.

# ქიბროწაშვილი ჭაბუკთა შორის

წინა კვირაში გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზმა მეხუთედ უმასპინძლა იქაურთა სახელოვანი ფალავნის, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ევროპის პირველი ჩემპიონის – ანზორ ქიბროწაშვილის მემორიალს 1998-99 წლებში დაბადებულთა შორის. შეჯიბრებამ მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, მასში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ნაკრები გამოდიოდა. ტურნირი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, რაც სულაც არაა გასაკვირი, რადგან გორის სკოლამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ. გორელებმა 8-დან 4 წონაში გაიმარჯვეს: **ლაშა ნადირაძემ** (50), **თემურ ნოზაძემ** (55) და **ომარ საურმა** (81). დანარჩენ წონებში ჩემპიონები **გიორგი ბენდელიანი** (45, თბილისი, კლუბი „ოლიმპი"), **გიორგი გაბინაშვილი** (60, კასპი), **ხარება ზურაბიანი** (73, თბილისი, „შევარდენი") და **ნიკა სიდამონიძე** (+81, ქარელი) გახდნენ.



# რეზო მგელაძის სახელობის ტურნირი „საბურთალომ" მოიგო

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის აწ გარდაცვლილი გენერალური მდივნის რეზო მგელაძის სახელობის ტურნირი, 2003 წელს დაბადებულ მოზარდებს შორის, „საბურთალომ" მოიგო.

სტადიონ „ბენდელაზე" **გიორგი დეკანოსიძის** მოზარდებმა, გადამწყვეტ შეხვედრაში, დინამოელი თანატოლები 3:2 დაამარცხეს. ფინალმა, რომელიც ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა, გულშემატკივრების დიდი ინტერესი გამოიწვია. „ბენდელაზე" დაახლოებით 1200-1300 ქომაგი შეიკრიბა.

პირველი გოლი „დინამოს" აკადემიის კარში **გიორგი გრიგალაშვილმა** გაიტანა. მეორე გოლი აქტივში **ბადრი გოგობერიშვილმა** ჩაიწერა. პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრებმა ანგარიში გაქვითეს.

შესვენების შემდეგ, დინამოელთა კარი **ზურაბ რუხაძემ** აიღო და ანგარიში 3:1 გახადა. თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, „დინამომ" კიდევ ერთი გოლი გაიტანა. მატჩის დასრულების შემდეგ, სხვადასხვა ნომინაციებში, საუკეთესოები გამოვლინდნენ. „საბურთალოდან" *საუკეთესო ნახევარმცველის* პრიზი **გიორგი კვერნაძემ** დაიმსახურა, ხოლო ტურნირის *საუკეთესო ფეხბურთელად* **ბადრი გოგობერიშვილი** აღიარეს. ამ უკანასკნელს *საუკეთესო „ათიანის"* პრიზიც ერგო, რომელიც „საბურთალომ" დააწესა; *საუკეთესო მეკარე* – **სულიკო ბოლქვაძე** (თ.ს.აკადემია), *საუკეთესო მცველი* – **გოგა ხიზანიშვილი** (რუსთავი), *საუკეთესო თავდამსხმელი* – **ლუკა გაგნიძე** (დინამოს აკადემია).

ტურნირში ყაზახეთის „ალმატიც" მონაწილეობდა, რომლის შემადგენლობიდან საუკეთესო ფეხბურთელად **მუკან კაჟიმუკანი** დაასახელეს.

მოზარდ ფეხბურთელებს პრიზები გადასცეს: „საბურთალოს" პრეზიდენტმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა**, ამავე კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **გოჩა თამაზაშვილმა**, გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ**, „დინამოს" აკადემიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **გიორგი მინაშვილმა**, ვეტერანმა ფეხბურთელმა თენგიზ **სულაქველიძემ**, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **გრიგოლ ცაავამ** და რევაზ მგელაძის ოჯახის წევრებმა.

**fcsaburtalo.ge**



# ამბროლაურმა საღარაძე დააფასა

ტრადიციად ქცეული ვეტერანის დასაფასებელი შეჯიბრება გაიმართა ამბროლაურშიც, რომელიც ნელ-ნელა იკვეთება ახალ წერტილად თავისუფალ ჭიდაობაში – იქაურები უკვე არა მხოლოდ ასაკობრივ, არამედ ეროვნულ ნაკრებებშიც გამოჩნდნენ. ამჯერად ამბროლაურმა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **გურამ საღარაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელიც ჭაბუკთა შორის იმართება. მასში 2000-2002 წლებში დაბადებული მოზარდები გამოდიოდნენ. ეს საერთაშორისო რანგის ტურნირია, თუმცა არაა შეტანილი მსოფლიოს ფედერაციის კალენდარში. ამჯერად მასში მასპინძლებთან ერთად თურქეთის, რუსეთისა და სომხეთის გუნდებიც გამოდიოდნენ. ფართოდ იყო წარმოდგენილი საქართველოს რაიონები.

ადგილობრივთა გასახარად, შეჯიბრებაში მათმა გუნდმა იყოჩაღა – 13-დან 6 ოქრო მოიპოვეს და გუნდური პირველობაც მოიგეს. ამბროლაურელთაგან ჩემპიონები გახდნენ: **ნიკოლოზ სანთელაძე** (23), **ბეჟან ბარსონიძე** (26), **გიორგი გოგრიჭიანი** (29), **ნიკოლოზ გოგრიჭიანი** (38), **ვლადიმერ გამყრელიძე** (42), **გიორგი ელბაქიძე** (46). ოქროს მედლებით მეორეზე საჩხერე გავიდა ორი ჩემპიონით: **ლუკა ჩხიტუნიძე** (32) და **გიორგი ჭოლაძე** (35), დანარჩენ რეგიონებს კი თითო ოქრო ერგოთ: 50 კილოგრამში ქუთაისელმა **ბაგრატ გაგნიძემ** გაიმარჯვა, 54-ში – აჭარის წარმომადგენელმა **გიორგი კუნჭულიამ**, 58-ში – ხონელმა **გიორგი ჩარქსელიანმა**, მძიმე წონაში კი პირველობა არავის დაუთმო თბილისელმა **დავით ქოჩქიანმა**. უცხოელმა სტუმრებმა სხვადასხვა სინჯის რამდენიმე მედალი კი მოიპოვეს, თუმცა ოქროს მხოლოდ ერთი შეწვდა – 63 კილოგრამში სომეხმა **დავით ტევორიანმა** გაიმარჯვა.

*რუბრიკას უძღვება*
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10




ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი";
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გექლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.



### სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების" რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

## თემატური პლაკატები
### დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

## თემატური პლაკატები
### მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

## რეპროდუქციები
### ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საქანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

## ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
### მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- თეოდორ ფონტანე - ეფი ბრისტი ახალი
- მიგელ დელიბესი - ორი რომანი ახალი
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - დროის ინსტიტუტი
- ჟან ჟიონო - ჰუსარი სახურავზე
- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
- რაფაელ საბატინი - ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა
- ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელექსირები
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- ჯონ გოლზუორთი - რჩეული მოთხრობები
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მარგერიტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- პროსპერ მერიმე - ილელი ვენერა
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - დონ კიხოტის დაბრუნება
- სტენდალი - წითელი და შავი
- ჯონ ბრეინი - გზა ელიტისაკენ
- ალბერტო მორავია - მოწყენილობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტერონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლიხტენშტაინი



## რა არის რა

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

- ავტომობილი
- ამინდი
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები და ციხესიმაგრეები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- 





ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/აGE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

## გამომცემლობა



ფასი – 15 ლარი

### შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია
სერიიდან
ინტელექტი სკოლას



თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის





თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

ფასი – 10 ლარი



თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

### ქიმია
საატესტატო–საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

### ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

### ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

### გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

### ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

### ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

### მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

### ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

დიოგენე

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

CMYK